დანართი

კურორტ ბახმაროს 2014 წლის საკურორტო სეზონის მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების შესახებ

კურორტ ბახმაროში 2014 საკურორტო სეზონის მიმდინარეობის დროს გამოვლინდა რიგი პრობლემები,რომელიც ხელს უშლის კურორტის ნორმალურ ფუნქციონირებას და დამსვენებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.კურორტ ბახმაროში მომსახურეობის და განვითრებისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებულია არაკომერციული იურიდიული პირი „კურორტი ბახმარო“(2013.02 №16) რომლის ძირითდი ფუნქციებია:

ა. მოსახლეობის გაჯანსაღების , დასვენების, კულტურული სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველოყოფა.

ბ. საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითრების ხელშეწყობა.

გ. დამსვენებელთა კონტიგენტისათვის დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

დ. კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ე. კურორტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, საქუჩო განათებისა და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა.

ვ. კურორტის სარეკრიაციო და სანიტარული ზონების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დაცვის ხელშეწყობა.

ზ.ინდივიდუალური სააგარაკო სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

2014 წლის ა.ი.პ „კურორტ ბახმაროს“გამოეყო დაფინანსება 72.8ათასი ლარი.მათ შორის ხელფასი 22 750 ლარი.ხარჯები50 050 ლარი.

ა.ი.პ ბახმაროს ჰყავს 28 თanამშრომელი.

მათ შორის ძირითდი:დირექტორი,ბუღლტერი, სპეციალისტი.

ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს 25 თანამშრომელი (თან ერთვის): ელექტრიკი,წყლის სპეციალისტი, მუშა (დურგალი), ტრაქტორის ოპერატორი, ეკოლოგ-ექსპერტი, მეველე, დასუფთვების მუშა, მძღოლი.

ა.ი.პ. კურორტ ბახმაროს შტატგარეშე მოსამსახურეები

№	სახელი,გვარი	პირადი ნომერი	თნამდებობა	ხელფასი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
1	ქეთევან შაქარიშვილი	46001002678	დამლაგებელი (ოფისის)	80	01 თებერვლიდან 31 მაისამდე		
2	ილია ჯინჭარაძე	46001018423	ელექტრიკი	300	01	31	
3	გოჩა დოლიძე	46001006776	ელექტრიკი	300	01	31	
4	ამირან კობიძე	46001000272	ელექტრიკი	300	01	31	
5	ილია მეგრელიძე	46001018651	ელექტრიკი	300	01	31	
6	მურთზ სიხარულიძე	46001001001	ელექტრიკი	300	01	31	
7	რევაზ სიხარულიძე	46001004448	ელექტრიკი	300	01	31	
8	გიორგი ცინცაძე	46001015841	ელექტრიკი	300	01	31	
9	გოჩა დოლიძე	46001020872	წყლის სპეციალისტი	200	01	31	
10	გიორგი დოლიძე	46001003068	წყლის სპეციალისტი	200	01	31	
11	ომარი დოლიძე	46001012724	წყლის სპეციალისტი	200	01	31	
12	თმაზი ანთიძე	46001005721	წყლის სპეციალისტი	200	01	31	
13	მერაბი ბერიძე	46001005100	მუშა (დურგალი)	300	01	31	
14	ვარდენ სერებრიაკოვი	46001000424	მუშა	300	01	31	
15	ვანო გუდავაძე	46001018508	მუშა	300	01	31	
16	გია ჯინჭრაძე	46001006065	ტრაქტორის ოპერატორი	250	01		30
17	ნათელა გუდავაძე	33001006268	ეკოლოგ-ექსპერტი	300	01	31	
18	შალვა ბერიძე	46001015814	მეველე	350	15	31	
19	ტელმან ბერიძე	46001022947	მეველე	300	15	31	
20	ოლეგი ჯაში	46001018137	მეველე	300	15	31	
21	თემურ მგალობლიშვილი	46001022484	მეველე	300	15	31	
22	ტარიელ სხვიტარიძე	46001015936	დასუფთავების მუშა	380	17	31	
23	ბაქარი გვამბერიძე	53001042306	დასუფთავების მუშა	380	17	31	
24	მედეა ბერიძე	26001017614	დასუფთავების	380	17	31	

			მუშა				
25	დავით ეზიეშვილი	46001014743	მძღოლი	625	17	31	

კურორტს სახანძრო მომსახურეობას უწევს ჩოხატაურის სახანძრო სამაშველო სამსახური.

წესრიგის დაცვას ემსახურება შ.ს.ს გურიის პოლიციის სამმართველო.

საკუთრების დაცვას (სააგარაკო სახლები და ასე შემდეგ) ემსახურება შ.პ.ს „მგლები“, შ.პ.ს „იუნაიტეტ სეკურიტი“.

კურორტ ბახმაროს მისასვლელ გზას ემსახურება შ.პ.ს „გზამშენი 18“

კურორტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასტუმრო „ბახმარო“,ასევე ბაზარი,პურის საცხობები(თონეები),აფთიაქი.მაღაზიები,კვების ობიექტები და ერთი საქანელა,2 სპორტული მოედანი,არ ფუნქციონირებს აბანო.

დამსვენებელთა ჯანდაცვას უზრუნველყოფს შ.პ.ს „მამქოლი“

კომუნალურ მომსახურებას სწევს ა.ი.პ „კურორტ ბახმარო.“

მიუხედავად იმისა,რომწინა ხელისუფლების დროს კურორტ ბახმაროში გარკვეული თანხები გაიხარჯა კურორტის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის.წყალმომარაგება უდიდეს პრობლემას წარმოადგენს და სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.წყლის შემკრები აუზები დაუცველია და არ ხდება წყლის გაფილტვრა და დარღვეულია დაქლორვის წესები.ხშირ შემთხვევაში ხდება ქსელში თვითნებური ჩართვა.სასმელი წყალი დამსვენებლების უმეტეს უბნებში მიეწოდებათ გრაფიკით.ბევრი უბანი დარჩენილია სასმელი წყლის გარეშე და მათ წყლით მომარაგება უხდებათ შორიდან ან სარგებლობენ ლოკალური ნაჟური წყლებით.წყლის პრობლემები განსაკუთრებით არის: აჭარის, ბქსიეთის,პიონერის, ინგოროყვას და ვაკიჯვრის ქუჩებზე.

სისტემა ხშირად ზიანდება და მოსახლეობა საკუთარი ხარჯებით ცდილობს შეაკეთოს დაზიანება.

წყლის სისტემას მომსახურეობას უწევს სან-ტექნიკები,რომლებიც აყვანილი არიან ხელშეკრულებით და სეზონურად იღებენ ანაზღაურებას.

მომსახურეობა,როგორც დამსვენებლები აღნიშნავენ ფასიანია.დამსვენებლებს წყალი მიეწოდებათ უფასოდ.

კურორტ ბახმაროს ელ.ენერგიით უზრუნველყოფს ა.ი.პ „კურორტ ბახმარო“.

მიწოდებული ელ.ენერგია აღირიცხება მთავარი ქვესადგურის მრიცხველზე და შემდგომ კურორტი ბახმარო ახდენს მოხმარებული ელ.ენერგიის თნხის ამოღებას.

ა.ი.პ. კურორტ ბახმაროს მიერ დადგენილია თანხა იმ კოტეჯებისათვის,რომლებიც **მოიხმარენ ელ.გამათბობელს--100 ლარი.ხოლო დანარჩენი**ნაწილი დამსვენებლებისა იხდის 50 ლარს.

მომსახურეობას სწევს ხელშეკრულებით აყვანილი თნამშრომლები.

მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს დაბალი ძაბვის გამო და ითხოვენ უბნებში ტრანსფორმატორების დამატებას.

საქუჩო განათებამოსახლეობის განცხადებითხშირად გამორთულია.

ელექტრო მეურნეობა ხშირად ზიანდება,მიმდინარე წელსაც დაზიანდა 10 კილოვატიანი გადამცემი ხაზის საყრდენი ბოძი,რამაც საშიშროება შეუქმნა დამსვენებლებს,ასევე უბნებში დაზიანებულია გადამცემი ელ.ენერგიის საყრდენი ბოძები.სადისტრიბუციო კომპანიას სოლიდური თნხები შესდის კურორტიდან, მაგრამ დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით არაფერს აკეთებს.

კურორტის კომუნალურ მომსახურეობას ეწევა "კურორტი ბახმარო."

დადგმულია ურნები არასაკმარის რაოდენობით, რაც იწვევს კურორტის დაბინძურებას.

ზოგიერთ უბნებში ურნები საერთოდ არ დგას.განსაკუთრებით დაბინძურებულიაუჩხუბის ქუჩა.

სავალალო მდგმარეობაა კურორტზე ტუალეტების მხრივაც, საზოგადოებრივი თავშეყრისადგილებში კი საერთოდ არ დგას საპირფარეშოები. დამსვენებლები ითხოვს ნებართვას, რომ მისცენ უფლება თავიანთი სახსრებით დადგან ტუალეტები, ან უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა.

არ დგას საზოგადოებრივი ტუალეტები ეკლესიასთნ, ბავშვთა გასართობ მოედანთან და ბაზართან.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადმოტანა ხდება დაბის ნაგავსაყრელზე რაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კურორტის ტერიტორიაზე შეინიშნება საქონელი,რომელიც აბინძურებს ტერიტორიას და დამსვენებელთა უკმაყოფილებას იწვევს.

დამსვენებელთა ჯამრთელობისდაცვას ემსახურება შ.პ.ს "მამქოლი" და ერთი აფთიაქი. შ.პ.ს „მამქოლს" გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა.ი.პ "კურორტ ბახმაროსთან" 2014 წლიდან.

არ მორიგეობის სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

აღსანიშნავია რომ,კურორტზე დამსვენებლები ასვლას იწყებენმაისის თვიდან, მაგრამსამედიცინო მომსახურეობაიწყება ივლისის თვიდან.

კურორტზე არსებული აფთიაქები ვაჭრობენყოველგვარი წესებისდაცვის გარეშე.არ ააქვთ მაცივრები და მედიკამენტების ფასი საკმაოდ მაღალია.

კურორტზე განლაგებულია რამდენიმე შერეული მაღაზია და სასოფლო-სამეურნეო ბაზარი,არ არის სასაკლაო , ხდება საქონლის უნებართვოდ დაკვლა. ხორცის მაღზიები ვაჭრობენ სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე.

ზოგ შემთხვევაში არ არის მაცივარი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

კურორტს არ გააჩნია გასართობი ობიექტები, არ ფუნქციონირებს კინო, არ ტარდება სანახაობრივი ღონისძიებები.

კურორტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი საქანელა. ისიც სავალალო მდგომარეობაში.

სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბავშვათა გასართობ მოედანზესაერთოდ არ არის ატრაქციონები.

კურორტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს აბანო.

სავალალო მდგომარეობაშიაკურორტის შიდა გზები,წინა ხელისუფლების დროსმოხდა ზოგიერთისაუბნოგზის შეკეთება, მაგრამ უხარისხოდ.

სანიაღვრე არხების გამოგზები ისევ დაზიანდადა თანხა ფაქტიურად ფუჭად იქნა გახარჯული. უბნებში დაიყარა ღორღი, მაგრამ იგი წვიმისგან და კვლავ ცუდ მდგომარეობაშია. უფრო მიზანშეწონილია სეზონის დაწყების წინ მოხდეს გზების სპეციალური ტექნიკით გასწორება, როგორც ეს მიმდინარე წელს რამდენიმე უბანში გაკეთდა.

კურორტი ბახმარო არ შედის არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში და არ აქვს სტატუსი განსაზღვრული.კურორტის ტერიტორიაზე ყოველგვარ მომსახურობას სწევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კურორტზე ძირითდად ისვენებენ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და აჭარის მაცხოვრებლები, საფიქრალია ფორმის მოძიება, რათა მათაც წილობრივად მონაწილეობა მიიღონ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ბახმაროს წინაშე ბევრი პრობლემა დგას და რათქმაუნდა ერთიანად არ გადაწყდება,მაგრამ მიგვაჩნია ,რომ დღეიდანვე უნდა დაიწყოს მუშაობა, რათა მომავალი წლის სეზონის დაწყებამდე გადაწყდეს ის საკითხები, რომელიც აუცილებელია დამსვენებელთა ელემენტარული პირობების გასაუმჯობესებლად.